PDF Eraser Free

დანართი №2

ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **შორენა ხუბუნაია**

წევრი: **ირმა არსენაშვილი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ილია-ილია ჭავჭავაძის სახელობის საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

შპს ილია-ილია ჭავჭავაძის სახელობის საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯში ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2021 წლის 29 ნოემბრის MES 7 21 0001277499 ბრძანების საფუძველზე, ამავე ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს შემადგენლობით - შორენა ხუბუნაია, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე; ირმა არსენაშვილი, ექსპერტთა ჯგუფის წევრი (შემდგომში „ექსპერტთა ჯგუფი“), დაგვევალა მიმდინარე წლის **9 და 10 დეკემბერს, „ვეტერინარიის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის **დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით** განსაზღვრული სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ვიზიტის განხორციელება შპს ილია-ილია ჭავჭავაძის სახელობის საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯში, ვიზიტის ადგილი - ქ. საგარეჯო, ლეონიძის ქ. №33ა.

შპს ილია-ილია ჭავჭავაძის სახელობის საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯში (შემდგომში „კოლეჯი“ ან „დაწესებულება“ ან დასახელება სრულად) ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებას, კოლეჯის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, კოლეჯის ვებგვერდსა და მასზე გათავსებულ ინფორმაციას, კოლეჯში განხორციელებული ბოლო ვიზიტის დასკვნასა და ოქმს.

2021 წლის 4 დეკემბერს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი და ჯგუფის წევრს გადაუნაწილა ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი (დანართი N1) და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

2021 წლის 9 და 10 დეკემბერს ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი კოლეჯში, გაეცნო პროგრამის დამატების მიზნით, ავტორიზაციის შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა კოლეჯის წარმომადგენლებს, დათვალიერდა სასწავლო გარემო, განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის 3 ობიექტზე და სრულად შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისასთან დაკავშრებული საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

მიმდინარე წლის 14 იანვარს დაწესებულებამ N145 კორესპოპდენციით წარმოადგინა ექსპერთა ჯგუფის დასკვნაზე არგუმენტირებული პოზიცია, რის მიხედვითაც, კოლეჯი სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებებს და დაგეგმილი აქვს შესაბამისი ღონისძიების განხორციელება, კერძოდ წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 27 დეკემბრის N87 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა N2. სადაც გაწერილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო იმ რესურსის შესყიდვა, რომელიც კოლეჯს საანგარიშო პერიოდში არ ჰქონდა.

აღნიშნულის მიხედვით კოლეჯის შესაბამისობის გეგმა N1 და N2-ის მიხედვით, კოლეჯის მიერ სრულადაა იდენტიფიცირებული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსის ნუსხა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, რომელთა შესრულებისთვის განსაზღვრული დრო არ აღემატება 6 თვეს (აქტივობათა შესრულების მაქსიმალური ვადაა - 13.01.2022-26.06.2022).

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ ფიქსირდება

VII. რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.1.1.1. - რეკომენდებულია დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურები თანმიმდევრულად გაწეროს ერთ დოკუმენტში და პრაქტიკაში გამოიყენოს კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტ(ებ)ით გათვალისწინებული წესები და პროცედურები. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ინდიკატორი 2.1.1.2 - რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს შიდა მარეგულირებელ აქტებში განხორციელებული ცვლილებების ან პროცედურის მომწესრიგებელი ახალი აქტების დროულად ასახვა კოლეჯის ვებგვერდზე. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 2.1.1.3. - რეკომენდებულია შიდა მარეგულირებელ აქტში დაწესებულებამ ასახოს ზოგადი მიდგომები პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე, მათ შორის გაითვალისწინოს ადმინისტრაციული პერსონალის რესურსი, ხოლო კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას გაითვალისწინოს ამ პროგრამის განხორციელებისათვის შერჩეული კონკრეტული სასწავლო გარემოსა და რესურსების დატვირთვა და გამტარუნარიანობა, მათ შორის ისეთი სასწავლო გარემოსი, რომელიც ამავდროულად გამოიყენება კოლეჯის სხვა პროფესიული საგამანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 2.1.1.4 - რეკომენდებულია დაწესებულებამ პროგრამის დანართის სახით განსაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ნუსხა. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 2.1.1.6. - რეკომენდებულია დაწესებულებამ შიდა მარეგულირებელ აქტებში გამოიყენოს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ტერმინები (მაგ.: საკანონმდებლო აქტის გამოცემის უფლებამოსილება კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის უფლებამოსილებას ცდება, იხ. ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონი მუხლი 7.) და შიდა მარეგულირებელი აქტების შემუშავებისას გაითვალისწინოს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 01 ივლისის №414 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ერთიანი წესები“, მათ შორის: შიდა მარეგულირებელი აქტების შემუშავების მიდგომები - მუხლი 19 (ინსტრუქცია), მუხლი 23 (მოთხოვნები მმართველობითი დოკუმენტების ტექსტებისადმი). ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 2.1.1.8. - რეკომენდებულია დაწესებულებამ სრულფასოვნად განსაზღვროს მოდულის განხორციელების მიდგომები, სწავლების ადგილი, ხოლო მოდულის განმახორციელებელი პირების შესახებ ინფორმაციის მოდულში მითითების შემთხვევაში, მართებულად განსაზღვროს განმახორციელებელთა სტატუსი და სხვა ინფორმაცია, ამასთან დაწესებულება უფლებამოსილია მოდულიდან ამოიღოს განმახორციელებელთა შესახებ ინფორმაცია და დაამტკიცოს პროგრამის ცალკე დანართის სახით. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ინდიკატორი 2.2.1.1 - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის დაწესებულებას დაგეგმილი აქვს ცალკეული რესურსის შესყიდვა, რისთვისაც წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, შესყიდვის პროცესის დასრულების დრო არ აღემატება 6 თვეს. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 2.2.1.2. - რეკომენდებულია დაწესებულებამ განსაზღვროს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემა, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალის აკადემიური მიმართულებით დატვირთვის ოდენობა დაადგინოს ცალსახად. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 2.2.1.3. - რეკომენდებულია კოლეჯმა დაარეგულიროს პერსონალთან სახელშეკრულებო ურთიერთობები საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, კერძოდ მოდულური სწავლების მიდგომების გათვალისწინებით დააზუსტოს პერსონალის ვალდებულებები, ცალსახად განისაზღვროს ხელშეკრულების ვადა და შრომის ანაზღაურების ოდენობა. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 2.2.1.4. - რეკომენდებულია დაწესებულებამ დაარეგულიროს პროგრამის ხელმძღვანელთან სახელშეკრულებო ურთიერთობები, დააზუსტოს პერსონალის ვალდებულებები, ცალსახად განისაზღვროს პერსონალის დატვირთვის ოდენობა და შრომის ანაზღაურების ოდენობა. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 2.2.1.5. - რეკომენდებულია კოლეჯმა დაარეგულიროს ბიბლიოთეკაში არსებული ბეჭდური რესურსის განლაგება/საძიებო სისტემის სრულყოფა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნებს მათი მოკლე დროში მიკვლევადობა. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 2.2.1.7 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ბიუჯეტში მიითებული რენტაბელური ზღვარის გათვალისწინებით მიღებული შემოსავლები ფარავს ამავე ბიუჯეტით განსაზრვრულ პროგრამის განხორციელების ხარჯს, თუმცა, რეკომენდებულია კოლეჯმა სწორად გაიანგარიშოს ბიუჯეტის შესაბამის კომპონენტით განსაზღვრული მონაცემები, მათ შორის: შემოსავლები დაიანგარიშოს რენტაბელური ზღვარის მიხედვით. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 2.3.1.1 რეკომენდებულია დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმი თანმიმდევრულად გაწეროს ერთ შიდა მარეგულირებელ აქტში, სადაც გათვალისწინებული იქნება შეფასებას დაქვემდებარებული პროცესები, პროცედურები, პასუხისმგებელი და ჩართულ პირები, შეფასების შედეგების მიღების გზები, ანალიზისა და გაუმჯობერების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

რეკომენდაციების შემუშავების საკითხები. ამასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესში სავალდებულოდ უნდა იყოს ჩართული პროგრამის ხელმძღვანელი, ვინაიდან ხარისხის უზრუველყოფის სამსახურის პერსონალი ვერ იქნება ყველა პროგრამის შინაარსის კვალიფიციური შემფასებელი. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 2.3.1.2. - რეკომენდებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და პროგრამის გაუმჯობესების მექანიზმები თანმიმდევრულად იყოს გაწერილი ერთ შიდა მარეგულირებელ აქტში, რაც გამორიცხავს რეგულირების საკითხების დუბლირებას, ხოლო შიდა მარეგულირებელ აქტებში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, უზრუნველყოფს პროცესის ერთგვაროვან წარმართვას. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 2.4.1.2. - რეკომენდებულია დაწესებულებამ დაარეგულიროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში ცვლილებების განხორციელების პროცედურები. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 2.4.1.4. - რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის ინფორმირება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისში მისი ჩართულობა, განსაზღვროს ინდივიდუალი სასწავლო გეგმის შემუშავებაზე პასუხიმგებელი და მონაწილე პირები და დოკუმენტის შემუშავების პროცედურული საკითხები. ასევე რეკომენდებულია დაწესებულებამ არაფორმალური განათლების აღიარების პროცესის რეგულირება განახორციელოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და აღნიშნული პროცესის მარეგულირებელი შიდა აქტები მოიყვანოს შესაბამისობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 2.4.2.3. - რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშავოს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვის წესი, რაც კოლეჯს დაეხმარება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებების მოკლე დროში მიკვლევადობის უზრუნველყოფაში. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ვეტერინარია / Veterinary
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში/ Higher Vocational Qualification in Veterinary
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0841
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	07.10.2021; ბრძანება №47
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. საგარეჯო, ლეონიძის ქ. №33ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა - 30 მისამართი: ქ. საგარეჯო, ლეონიძის ქ. №33ა განხორციელების ფორმა: მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

VII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☒	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილად შეესაბამება
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	მეტწილად შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	მეტწილად შეესაბამება

სტანდარტის 2.1 კომპონენტის მეტწილად შეფასება განპირობებულია შემდეგი გარემოებით:

ინდიკატორი 2.1.1.4 შეფასდა, როგორც მეწილად შესაბამისობაში. რისთვისაც, კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა N1 და N2-ის მიხედვით, კოლეჯის მიერ სრულადაა იდენტიფიცირებული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსის ნუსხა, ხოლო შესყიდვის პროცესისათვის განსაზღვრული დრო არ აღემატება 6 თვეს (აქტივობათა შესრულების მაქსიმალური ვადაა - 13.01.2022-26.06.2022)

სტანდარტის 2.2 კომპონენტის მეტწილად შეფასება განპირობებულია შემდეგი გარემოებით:

ინდიკატორი 2.2.1.1 შეფასდა, როგორც მეწილად შესაბამისობაში. რისთვისაც, კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა N1 და N2-ის მიხედვით, კოლეჯის მიერ სრულადაა იდენტიფიცირებული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსის ნუსხა, ხოლო შესყიდვის პროცესისათვის განსაზღვრული დრო არ აღემატება 6 თვეს (აქტივობათა შესრულების მაქსიმალური ვადაა - 13.01.2022-26.06.2022)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

სტანდარტის 2.4 კომპონენტის მეტწილად შეფასება განპირობებულია შემდეგი გარემოებით:

კრიტერიუმი 2.4.1.1 შეფასდა, როგორც მეწილად შესაბამისობაში. რისთვისაც, კოლეჯის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ირკვევა, რომ კოლეჯი გეგმავს ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის კორექტირებას. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ირკვევა, რომ კოლეჯი გეგმავს პროფესიულის სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული პოცედურების მარეგულირებელი აქტების შემუშავებას, რისთვისაც წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, ხოლო აქტივობათა შესრულების დრო არ აღემატება 6 თვეს.

ინდიკატორი 2.4.2.1 შეფასდა, როგორც მეწილად შესაბამისობაში. რისთვისაც, კოლეჯის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ირკვევა, რომ კოლეჯი გეგმავს პროფესიულის სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული პოცედურების მარეგულირებელი აქტების შემუშავებას, რისთვისაც წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, ხოლო აქტივობათა შესრულების დრო არ აღემატება 6 თვეს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 24 ივლისის №27 ბრძანებით დამტკიცებულია **„საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და შეფასების მეთოდოლოგია“**, რომლის პირველი მუხლი არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის პროცედურას. ჩანაწერის მიხედვით, პუნქტი 1.1 – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით, კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახური მოიპოვებს სტატისტიკურ მონაცემებს შრომის ბაზრის კვლევისა და დასაქმების მაჩვენებლების შესახებ და ინიცირებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს პროგრამის დამატების შესახებ“. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 ივლისის №29 ბრძანებით დამტკიცებულია „**საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესების**“ პირველი მუხლის 1.3 პუნქტის მიხედვით „სამუშაო ჯგუფი ასრულებს შრომის ბაზრის კვლევას, ადასტურებს პროგრამის მიზანშეწონილობას და ამზადებს პროგრამას დასამტკიცებლად“. ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების თაობაზე კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 დეკემბრის №61 ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო გეგმის შემუშავება. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა და ბაზრის კვლევის დოკუმენტი, სადაც მოცემულია შემდეგი ჩანაწერი - „ბაზრის კვლევის ამ მონაცემების საფუძველზე, <u>კოლეჯის დამფუძნებელთა ჯგუფის</u> მიერ შედგა მიზანშეწონილობის დასაბუთება და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პროგრამა ვეტერინარიის დასამატებლად“. ზემოაღნიშნული შიდა მარეგულირებელი აქტები და მათ საფუძველზე შემუშავებული პროგრამის განხორციელების დასაბუთების დოკუმენტები პროცედურულად წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან, იწვევს გაურკვევლობას და ვერ დგინდება ამათუ იმ პროცესზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი.

ვეტერინარიის პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტში განხილულია რეგიონის საჭიროება, ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნა კვალიფიციური ვეტერინარების საჭიროების თაობაზე, განხილულია კოლეჯის მისია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, ეკონომიკური ასპექტები და ფინანსური საკითხები, საპროგნოზოდ დათვლილია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები, მოცემულია ინფორმაცია რეგიონში კონკურენტების არარსებობის თაობაზე და შეფასებულია პროგრამის განხორციელების ადმინისტრაციული რესურსი.

კოლეჯის მისია ზოგადი ხასიათისაა და ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება არ არის წინააღმდეგობაში. ზემოაღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების საკითხები შეტანილია კოლეჯის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის გადაწყვეტილება ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურები თანმიმდევრულად გაწეროს ერთ დოკუმენტში და პრაქტიკაში გამოიყენოს კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტ(ებ)ით გათვალისწინებული წესები და პროცედურები.*

2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 7 ოქტომბრის №47 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ვეტერიანარიაზე“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია ვეტერინარიის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობებთან.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 8 ივლისის N24 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებთან“. დოკუმენტში გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის დაგეგმვისა და ორგანიზების საკითები, ტესტირების პროცესი, საგამოცდო კომისიის ფორმირების მიდგომები, შეფასების მეთოდები და ეტაპები, დამკვირვებლისა და აპლიკანტის უფლება-მოვალეობები, გასაუბრების ეტაპები, განმეორებითი შეფასებისა და აპელაციის პროცედურები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის წესები, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტრების გავლის გარეშე ჩარიცხვისა და დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების წესი, ასევე განსაზღვრულია პროგრამაზე ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, დოკუმენტს დანართის სახით ახლავს მოტივაციური გასაუბრების ფურცელი. თუმცა, კოლეჯს ვებგვერდზე არ აქვს შეცვლილი პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი და პროცედურა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებული. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს შიდა მარეგულირებელ აქტებში განხორციელებული ცვლილებების ან პროცედურის მომწესრიგებელი ახალი აქტების დროულად ასახვა კოლეჯის ვებგვერდზე.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 დეკემბრის N63 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ზოგადი მეთოდოლოგია“. დოკუმენტში გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის საფუძვლები, რომელიც მოიცავს A სასწავლო გარემოს, B სასწავლო გარემოს, C სასწავლო გარემოს, პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის, დაწესებულების საერთო ფართისა და პრაქტიკის ობიექტის გამტარუნარიანობის აღწერას. თუმცა, დოკუმენტის დასახელების მიუხედავად, A, B, C სასწავლო გარემოსათვის განსაზღვრულია ადგილების რაოდენობა, რაც B, C სასწავლო გარემოს შემთხვევაში არ შეესაბამება რეალობას, კოლეჯს გაცილებით მეტი ადგილი და რესურსი აქვს მოცემული სასწავლო გარემოს შემთხვევაში.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ვეტერინარიის პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთება“. დოკუმენტში აღწერილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო A, B, C სასწავლო გარემოთა და პრაქტიკის ოთხივე ობიექტის გამტარუნარიანობა, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა და ფინანსური რესურსი. დასაბუთების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კოლეჯის ქიმიური ლაბორატორია იქნება საზიარო ფარმაციისა და ვეტერინარიის პროგრამების პროფესიული სტუდენტებისათვის. აღწერილია პროგრამის სავარაუდო შემოსავლები და ხარჯები და პროგრამის მდგრადობის კოეფიციანტი ნაჩვენებია 1.6, თუმცა პროგრამის ბიუჯეტის შედგენისას დაწესებულებას არასწორად აქვს დათვლილი შემოსავლები და ხარჯები. ვრცლად იხილეთ წინამდებარე დასკვნის 2.2.1.7 ინდიკატორის აღწერა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებული. კოლეჯი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, *თუმცა რეკომენდებულია შიდა მარეგულირებელ აქტში დაწესებულებამ ასახოს ზოგადი მიდგომები პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე, მათ შორის გაითვალისწინოს ადმინისტრაციული პერსონალის რესურსი, ხოლო კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას გაითვალისწინოს ამ პროგრამის განხორციელებისათვის შერჩეული კონკრეტული სასწავლო გარემოსა და რესურსების დატვირთვა და გამტარუნარიანობა, მათ შორის ისეთი სასწავლო გარემოსი, რომელიც ამავდროულად გამოიყენება კოლეჯის სხვა პროფესიული საგამანათლებლო პროგრამის ფარგლებში.*

4. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 7 ოქტომბრის ბრძანებით დამტკიცებულია ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ნუსხა. დოკუმენტში გამიჯნულია კოლეჯის ბაზაზე და პრაქტიკის ობიექტზე ხელმისაწვდომი რესურსი. პრაქტიკის ობიექტზე ხელმისაწვდომი რესურსის ჩამონათვალი ნაწილობრივ შესაბამისობაშია პრაქტიკის ობიქტებთან გაფორმებული ხელშეკრულების დანართის სახით განსაზღვრულ რესურსთან. ამასთან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

დაწესებულების მიერ დამტკიცებული მატერიალური რესურსის ჩამონათვალი არაა შესაბამისობაში ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სარეკომენდაციო რესურსთან. კოლეჯის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტში მოცემულია მხოლოდ პროფესიული და კლინიკური მოდულების განხორციელებისათვის საჭირო რესურსების არასრული ჩამონათვალი, ხოლო ამ ჩამონათვალიდან ნაწილი არ იყო მითითებული პრაქტიკის ობიეტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, კერძოდ:

- კოლეჯის მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრში წარმოდგენილი თვითშეფასების მეხუთე დანართით განსაზღვრულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ ინფორმაცია (გარდა მასალა-ნედლეულისა)“, დოკუმენტში მოცემულია 56 დასახელების ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული და კლინიკური მოდულების განხორციელებისათვის საჭირო რესურსის ნაწილი, რომელსაც აკლია შემდეგი აღჭურვილობა: *მსხ. რქ. პირუტყვის და ღორის განაზომებით ცოცხალი წონის დასადგენი სანტიმეტრი (250 სმ სიგრძის); ძროხისთვის მაგნიტის ჩასაყლაპებელი მოწყობილობა 18"x7 / 16"; წამზომი; კალიფორნია მასტიტის ტესტის დაფა; სისხლის წნევის საზომი ინსტრუმენტი (23.2 სმ x 15.5 სმ); 15 ლიტრიანი სადეზინფექციო ავზები; სამედიცინო ნარჩენების კონტეინერი (3 ლიტრი); 10 ლიტრიანი პლასტიკატის კასრი; 15-20ლ ხელის შესაწამლი აპარატი; ორლინზიანი მიკროსკოპი. Infinity ოპტიკური სისტემა. ჩამონტაჟებული განათების სისტემა, 6V/20W ჰალოგენის ნათურა ან 0.5W LED. ცვლადი ფოკუსირება, მაღალმგრძნობიარე: 2.5μm. 30º დახრილი ბინოკულარული მილი. გუგებსშორისი მანძილის რეგულირებადი დიაპაზონი: 48 – 75 მმ ხედვის წერტილის კორექტორი: 377.8 – 427.7 მმ; ციფრული PH მეტრი რძისთვის. საზომი სპექტრი: 0.00-14.00 PH. ავტომატური ტემპერატურის მარეგულირებელი:0—80°C. ელემენტი: 3 *1.5 V(AG-13); ციფრული სასწორი (წამლის). 66 lbs/30 კგ. ზომები 13-1/2 in x 9-1/2 in.; მეტალოდეტექტორიDG-145 "starvet".* ამავე დოკუმენტში ხსენებული 56 დასახელების რესურსის ფლობის ველში განსაზღვრულია ასევე რესურსის ფაქტობრივად არსებობის ადგილი - „კოლეჯი“ ან/და „პრაქტიკის ობიექტი - შპს „ვეტები“, თუმცა შპს „ვეტებთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში არ იძებნება „ქირურგიული ოფთალმოლოგიური ინსტრუმენტების ძირითადი კომპლექტი (მათ შორის: *1 Castroviejo მიკრო მაკრატელი 3,5" სწორი; 1 Barraquer სწორი ნემსდამჭერი, ჩამკეტვის გარეშე; 1 mcpherson მიკრო ქსოვილების პინცეტი 1x2 კბილი 3/5"; 1 Bishop harmon მიკრო დაკბილული პინცეტი 3,5"; 1 Westcott tenotomy ბლაგვწვერიანი მაკრატელი, სტანდარტული მოღუნულთავიანი მჭრელი დანის პირით; 1 თვითჩამკეტი პინცეტი; 1 Girang corneoscleral tissue 1x2 დაკბილული პინცეტი ; 1 მრგვალი სკალპელის სახელური #3; 1 Ribbon ტიპის დიდი თითის გასაყრელებიანი მაკრატელი, სწორი; 1 Jaffe ტიპის ტალღოვანთავიანი პინცეტი 6 მმ ; 1 Barraquer მავთულის თვალის გამღები, მყარი 15 მმ).*“

- კოლეჯის მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრში წარმოდგენილი თვითშეფასების მეხუთე დანართით განსაზღვრული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ ინფორმაციაში (გარდა მასალა-ნედლეულისა)“ არაა ასახული ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი და ცალკეული პროფესიული მოდულების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ნუსხა, მაგალითად: ქიმია; ბიოქიმიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

საფუძვლები, დოზირების პრინციპები ვეტერინარიაში, ბიოლოგია; ჰისტოლოგია 1; მიკრობიოლოგია 1; ცხოველთა ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებები; ცხოველთა დაავადებები.

კოლეჯში ექსპერტთა ჯგუფის ყოფნისას დაწესებულებამ წარმოადგინა „შესაბამისობის გეგმა ვეტერინარიის პროგრამის დამატების მიზნით“, დოკუმენტი დამტკიცებულია 2021 წლის 25 ოქტომბერს, თუმცა დოკუმენტში არასრულადაა განსაზღვრული პროგრამის განხორციელეისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ნუსხა, მოცემულია მხოლოდ შემდეგი მოდულების განხორციელებისათვის საჭირო რესურსი: ბიოლოგია; ჰისტოლოგია 1; მიკრობიოლოგია 1, ცხოველთა ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებები; ცხოველთა დაავადებები, თუმცა ნუსხას აკლია *„ცხოველის ნომრები (100 ცალი ჯგუფზე)“.* (იხ. დანართი N2)

ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური და პრაქტიკული მოდულების განხორციელებისათვის კოლეჯს შერჩეული აქვს პრაქტიკის 4 ობიექტი, რომელთანაც გაფორმებული აქვს ხელშკრულება - შპს „მატადორი“ (2021 წლის 19 თებერვალს გაფორმებული №14 ხელშეკრულება), შპს „ვეტები“ (2021 წლის 20 თებერვალს გაფორმებული №13 ხელშეკრულება), მეცხოველეობის სანაშენე კოოპირატივი „მომშენებელი“ (2021 წლის 25 თებერვალან გაფორმებული №15 ხელშეკრულება), ი/მ „ზვიად სიბოშვილთან“ 2021 წლის 20 თებერვალს გაფორმებული №16 ხელშეკრულება), საყურადღებოა, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების რეგისტრაციის წესი დარღვეულია, კერძოდ: 2021 წლის 19 თებერვალს რეგისტრირებულია №14 ხელშეკრულება, ხოლო 2021 წლის 20 თებერვალს - №13, №16, ასევე 2021 წლის 25 თებერვალს რეგისტრირებული ხელშეკრულება არის №15.

მიმდინარე წლის 14 იანვარს დაწესებულებამ N145 კორესპოპდენციით წარმოადგინა ექსპერთა ჯგუფის დასკვნაზე არგუმენტირებული პოზიცია, რის მიხედვითაც, კოლეჯი სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებებს და დაგეგმილი აქვს შესაბამისი ღონისძიების განხოეციელება, კერძოდ წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 27 დეკემბრის N87 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა N2. სადაც გაწერილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო იმ რესურსის შესყიდვა, რომელიც კოლეჯს საანგარიშო პერიოდში არ ჰქონდა.

აღნიშნულის მიხედვით კოლეჯის შესაბამისობის გეგმა N1 და N2-ის მიხედვით, კოლეჯის მიერ სრულადაა იდენტიფიცირებული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსის ნუსხა, ხოლო შესყიდვის პროცესისათვის განსაზღვრული დრო არ აღემატება 6 თვეს (აქტივობათა შესრულების მაქსიმალური ვადაა - 13.01.2022-26.06.2022)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 არის მეტწილად დაკმაყოფილებული. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა N1 და N2-ის მიხედვით, კოლეჯის მიერ სრულადაა იდენტიფიცირებული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსის ნუსხა, ხოლო შესყიდვის პროცესისათვის განსაზღვრული დრო არ აღემატება 6 თვეს (აქტივობათა შესრულების მაქსიმალური ვადაა - 13.01.2022-26.06.2022)

5. ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს. **შესაბამისად, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია.**

6. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების წესი განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 ივლისის №29 ბრძანებით დამტკიცებული „**საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესების**“ 1.7 მუხლით - „პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი საკანონმდებლო აქტით.“ კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის №78 ბრძანებით დამტკიცებული „მთავარი დებულების“ 22-ე მუხლის ერთ-ერთი მე-3 (შიდა მარეგულირებელი აქტის ცალკეული მუხლები მოიცავს პუნქტებს დუბლირებული აღრიცხვით) პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით „ა) პროფესიულ პროგრამებს ამტკიცებს დირექტორი ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინების შემდეგ“. ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 7 ოქტომბრის №47 ბრძანებით, რომელიც გამოცემულია ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის 2020 წლის 16 თებერვლის №30 სამსახურეობრივი ბარათით, აღსანიშნავია, რომ ხსენებული სამსახურეობრივ ბარათში საუბარაია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 დეკემბრის №61 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგებზე. აღნიშნული კი მიუთითებს დაწესებულების მიერ დოკუმენტებზე მუშაობისა და მათი აღრიცხვის კომპონენტის გაუმჯობესების საჭიროებაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შიდა მარეგულირებელ აქტებში გამოიყენოს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ტერმინები (მაგ.: საკანონმდებლო აქტის გამოცემის უფლებამოსილება კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის უფლებამოსილებას ცდება, იხ. ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონი მუხლი 7.) და შიდა მარეგულირებელი აქტების შემუშავებისას გაითვალისწინოს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 01 ივლისის №414 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ერთიანი წესები“, მათ შორის: შიდა მარეგულირებელი აქტების შემუშავების მიდგომები - მუხლი 19 (ინსტრუქცია), მუხლი 23 (მოთხოვნები მმართველობითი დოკუმენტების ტექსტებისადმი).*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

7. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 7 ოქტომბრის N47 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაა „ვეტერინარია“, რაც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტის „ვეტერინარია“ სახელწოდებასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, თუმცა: კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის №78 ბრძანებით დამტკიცებული „მთავარი დებულების“ 22-მუხლის - ,,პროფესიული პროგრამის დებულება“ პუნქტი 1- ში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: "მოდულური პროგრამების შემთხვევაში დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროგრამაში განსაზღვრულია: სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, პროფესიული კვალიფიკაციის დონე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, საკანონმდებლო ბაზა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, პროგრამის განხორციელების გეგმა და ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ". ხოლო კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 24 ივლისის №27 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ 1.12 მუხლის მიხედვით - „პროგრამას დანართის სახით უნდა ახლდეს ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის/სასწავლო პრაქტიკის გავლის ობიექტთან დადებული მემორანდუმი/ხელშეკრულება და პროგრამის ბიუჯეტი“. თუმცა კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 7 ოქტომბრის №47 ბრძანებით დამტკიცებულ პროგრამაში განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, პროფესიული კვალიფიკაციის დონე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, საკანონმდებლო ბაზა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, მათ შორის ქართული ენის შესაბამისი დონის მოდულები, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება. პროგრამის ბოლო გვერდზე განსაზღვრული დანართების ნუსხაში მოცემულია ჩანაწერი - „დანართი: <u>სასწავლო გარემო, მინიმალური მატერიალური რესურსი და ადამიანური რესურსი“</u>, რაც ნაწილობრივ შეესაბამება კოლეჯის მიერ დამტკიცებულ შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთ მოდულში მითითებულია მოდულის შემუშავებაში მონაწილე პირები, ნაცვლად მოდულის განმახორციელებელი პირისა, რიგ შემთხვევებში არ არის მითითებული ორგანიზაციის რეკვიზიტები, არ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

არის განსაზღვრული მოდულის განხორციელების ადგილი, თუნდაც იმ მოდულების შემთხვევაში, რომელთა განხორციელების ადგილი არის პარტნიორი დაწესებულება/პრაქტიკის ობიექტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს,** *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ სრულფასოვნად განსაზღვროს მოდულის განხორციელების მიდგომები, სწავლების ადგილი, ხოლო მოდულის განმახორციელებელი პირების შესახებ ინფორმაციის მოდულში მითითების შემთხვევაში, მართებულად განსაზღვროს განმახორციელებელთა სტატუსი და სხვა ინფორმაცია, ამასთან დაწესებულება უფლებამოსილია მოდულიდან ამოიღოს განმახორციელებელთა შესახებ ინფორმაცია და დაამტკიცოს პროგრამის ცალკე დანართის სახით.*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 24 ივლისის №27 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშაბისა და შეფასების მეთოდოლოგია“;
2. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 ივლისის №29 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესები“;
3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 დეკემბრის №61 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
4. კოლეჯის მისია;
5. კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
6. ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი;
7. ბაზრის კვლევის დოკუმენტი;
8. კოლეჯის მისია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
9. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 7 ოქტომბრის №47 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ვეტერიანარია“ და მისი დანართები;
10. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის №78 ბრძანებით დამტკიცებული „მთავარი დებულება“;
11. ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
12. ვეტერინარიის პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთების დოკუმენტი;
13. შპს „მატადორთან“ 2021 წლის 19 თებერვალს გაფორმებული №14 ხელშეკრულება (პრაქტიკის ობიექტი);
14. შპს „ვეტებთან“ 2021 წლის 20 თებერვალს გაფორმებული №13 ხელშეკრულება (პრაქტიკის ობიექტი);
15. მეცხოველეობის სანაშენე კოოპირატივი „მომშენებელთან“ 2021 წლის 25 თებერვალან გაფორმებული №15 ხელშეკრულება (პრაქტიკის ობიექტი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

16. ი/მ „ზვიად სიბოშვილთან“ 2021 წლის 20 თებერვალს გაფორმებული №16 ხელშეკრულება (პრაქტიკის ობიექტი);
17. ჩარჩო დოკუმენტი „ვეტერინარია“ ;
18. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა N1 და N2;
19. ინტერვიურების შედეგები;

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭიროა A, B, C სასწავლო გარემო და რეალური სამუშაო გარემო, რაც დაგეგმილია პრაქტიკის ობიეტებზე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
კოლეჯის **A სასწავლო** გარემო აღჭურვილია ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ მოდულების სწავლებისათვის, რომელთა სწავლის შედეგების მიღწევა დაგეგმილია მოცემულ სასწავლო გარემოში. აუდიტორიაში განთავსებულია 15 პროფესიული სტუდენტისა და პროფესიული მასწავლებლისთვის საჭირო მაგიდა და სკამი, მონიტორი, კომპიუტერი და თვალსაჩინო პლაკატები ვეტერინარიის მიმართულებით.

კოლეჯის **B სასწავლო** გარემო აღჭურვილია ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი მოდულის სწავლებისათვის. აუდიტორიაში განთავსებულია 15 პროფესიული სტუდენტისა და პროფესიული მასწავლებლისთვის საჭირო მაგიდა და სკამი, პროექტორი, პრინტერი, დაფა, 16 კომპლექტი კომპიუტერი.

კოლეჯის **C სასწავლო** გარემოდ წარმოდგენილია ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ქიმიური ლაბორატორია, სადაც განთავსებულია ვეტერინარიის პროგრამის სწავლებისათვის საჭირო ინვენტარის ნაწილი. დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიურებისას დადგნიდა, რომ მოცემული სასწავლო გარემო არის ვეტერინარიის პროფესიული პროგრამის C სასწავლო გარემო. კოლეჯში ცალსახად განსაზღვრული არაა პროფესიული მოდულების განხორციელების ადგილი, ამიტომ ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით C სასწავლო გარემოში დაგეგმილია ისეთი მოდულების განხორციელება, როგორიცაა: ქიმია, ბიოქიმიის საფუძვლები, დოზირების პრინციპები ვეტერინარიაში, ვეტერინარული ფარმაცია და ფარმაკოლოგია, ბიოლოგია; ჰისტოლოგია 1; მიკრობიოლოგია 1; ცხოველთა ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებები; ცხოველთა დაავადებები. ზემოაღნიშნული მოდულების განხორციელებისათვის საჭირო რესურსის ყველა სახე არ არის წარმოდგენილი კოლეჯის C სასწავლო გარემოში, ხოლო არსებული რესურსის რაოდენობა არ არის საკმარისი 30 პროფესიული სტუდენტის სწავლებისათვის ჩარჩო დოკუმენტის დანართით განსაზღვრული მატერიალური რესურსის ნუსხაში მითითებული ოდენობების გათვალისწინებით. მაგალითად, კოლეჯში <u>არ არის</u> ხელმისაწვდომი: *ჩონჩხი (სხვადასხვა ცხოველისა და ფრინველის); ცხოველთა ჩონჩხის ცალკეული ნაწილები; მულიაჟი (ძროხა, ღორი, ცხვარი, ფრინველი); დანაყოფებიანი ჯოხი; დანაყოფებიანი ცირკული; დანაყოფებიანი ლენტა; ცხოველის ნომრები,* ხოლო <u>არასაკმარისი</u> რაოდენობითაა წარმოდგენილი: *სპირტქურა; სინჯარა (20-25 მლ-იანი); სინჯარის შტატივი; სინჯარის დამჭერი; კონუსური კოლბა (200 მლ-იანი); საზომი კოლბა; ბიურეტი; ბიურეტის დამჭერი; მინის პიპეტი; პიპეტის დოზატორი; პასტერის პიპეტი; ძაბრი; ქიმიური ჭიქა; მენზურა; დიდი ზომის სინჯარა (50 მლ-იანი) გაზგამტარით; ფაიფურის ჯამი და სხვა,* ჩარჩო დოკუმენტის დანართის მიხედვით, მოცემული რესურსის რაოდენობა განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტისათვის 1 ან მეტი ოდენობით, შესაბამისად, კოლეჯში სულ მცირე 15 ან მეტი ოდენობით (იმ შემთხვევაში როცა 1 სტუდენტზე მოთხოვნილია 2-10 ერთეული ინვენტარი - მაგ. სინჯარა, კოლბა, პიპეტი და სხვა), თუ კოლეჯი 2 ჯგუფად დაყოფს პროგრამის ფარგლებში მოთხოვნილ 30 პროფესიულ სტუდენტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს შემდეგი ხელშეკრულებები, რომელთაგან **შპს „ვეტებთან“** და **შპს მეცხოველეობის სანაშენე კოოპერატივ „მომშენებელთან“** გაფორმებულ ხელშეკრულებებს ერთვის კონკრეტული მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო მატერიალური რესურსის არასრული ჩამონათვალი:

- საგარეჯოში მდებარე **შპს “ვეტები“.** აღნიშნული ხელშეკრულების (N13, 20.02.2021) ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს 20 პროფესიულ სტუდენტს. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება მოდულებისთვის: ვეტერინარი ქირურგის ასისტირება; შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი,კატა) დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა; ვეტერინარული ფარმაცია და ფარმაკოლოგია; ცხოველთა მკურნალობა. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2026 წლის 1 იანვრამდე;
- საგარეჯოში მდებარე **ინდ.მეწარმე „ზვიად სიბოშვილი“**. აღნიშნული ხელშეკრულების (N16, 20.02.2021) ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს 20 პროფესიულ სტუდენტს. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება შემდეგი მოდულებისთვის - ცხოველთა მოვლა და კეთილდღეობაზე ზრუნვა; ცხოველთა კვება. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2026 წლის 1 იანვრამდე;
- საგარეჯოში მდებარე **შპს მეცხოველეობის სანაშენე კოოპერატივ „მომშენებელთან“**. აღნიშნული ხელშეკრულების (N15, 25.02.2021) ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს 20 პროფესიულ სტუდენტს. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება მოდულისთვის - ვეტერინარული მეანობა და გინეკოლოგია. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2026 წლის 1 იანვრამდე;
- საგარეჯოში კახეთის გზატკეცილი 7 ში მდებარე **შპს „მატადორთან“**, აღნიშნული ხელშეკრულების (N14, 190.02.2021) ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს 20 პროფესიულ სტუდენტს. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება მოდულებისთვის - ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი; ცხოველთა დაკვლის შემდგომი კონტროლი. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2026 წლის 1 იანვრამდე.

ზემოაღნიშნულ პრაქტიკის ობიექტებთან კოლეჯის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 20-ით. პრაქტიკის თითოეულ ობიექტზე დაგეგმილია სხვადასხვა მოდულის სწავლის შედეგების მიღწევა, ვინაიდან თითოეული მათგანი განსხვავებული სპეციფიკით ფუნქციონირებს, შესაბამისად, კოლეჯის მიერ მოთხოვნილი 30 სტუდენტი ვერ იქნება უზრუნველყოფილი პრაქტიკის მოცემული ობიექტების ბაზაზე სწავლებით.

ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა პრაქტიკის ოთხივე ობიექტის დათვალიერება, ვინაიდან პრაქტიკის თითოეულ ობიექტზე დაგეგმილია სხვადასხვა მოდულის სწავლის შედეგების მიღწევა, თუმცა კოლეჯმა მხოლოდ 3 ობიექტის დათვალიერება უზრუნველყო. შპს „ვეტები“ ფუნქციონირებს ვეტერინარული ფარმაციის, ვეტერინარული ქირურგიის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მიმართულებით, შპს „მატადორი“ ახორციელებს ცხოველის დაკვლისწინა და დაკვლისშემდგომ პროცედურებს, ხოლო ინდ.მეწარმე „ზვიად სიბოშვილი“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

საკუთარი ფერმის (საქონლის, ღორის) ფარგლებში უზრუნველყოფს ცხოველთა კეთილდღეობის ზრუნვისა და კვების სამუშაოებს. პრაქტიკის სამივე ობიექტს აქვთ ყველა რესურსი საკუთარი საწარმოო პროცესის განსახორციელებლად იმ ოდენობით, რაც მათი მასშტაბის ადეკვატურია, თუმცა რიგ შემთხვევებში არაა შესაბამისობაში ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ ოდენობასთან (2.1 კომპონენტში აღწერილია, რომ კოლეჯს სრულად არ აქვს განსაზღვრული მატერიალური რესურსის ნუსხა). რაც შეეხება **შპს მეცხოველეობის სანაშენე კოოპერატივ „მომშენებელს“,** კოლეჯის წარმომადგენელთა განმარტებით, ახორციელებს დამკვეთთა ადგილზე მომსახურებას, აქვს ვეტერინარული პროცედურებისა და მანიპულაციებისათვის საჭირო ყველა რესურსი და კოლეჯთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას.

კოლეჯში ექსპერტთა ჯგუფის ყოფნისას დაწესებულებამ წარმოადგინა „შესაბამისობის გეგმა ვეტერინარიის პროგრამის დამატების მიზნით“, დოკუმენტი დამტკიცებულია 2021 წლის 25 ოქტომბერს. თუმცა განსაზღვრულია ვეტერინარიის პროგრამის განხორციელეისათვის საჭირო ისეთი მატერიალური რესურსის შეძენა, როგორიცაა: ცხოველთა ჩონჩხის ცალკეული ნაწილები (10 ცალი) - შესყიდვის პერიოდი - 29.04.2022; მულიაჟი 4 ცალი (ძროხა, ღორი, ცხვარი, ფრინველი) შესყიდვის პერიოდი - 29.04.2022; დანაყოფებიანი ჯოხი შესყიდვის პერიოდი - 29.04.2022; დანაყოფებიანი ცირკული 1 ცალი - შესყიდვის პერიოდი - 29.04.2022; დანაყოფებიანი ლენტა - შესყიდვის პერიოდი - 29.04.2022. სხვა რესურსის შესყიდვას კოლეჯი არ გეგმვას.

მიმდინარე წლის 14 იანვარს დაწესებულებამ N145 კორესპოპდენციით წარმოადგინა ექსპერთა ჯგუფის დასკვნაზე არგუმენტირებული პოზიცია, რის მიხედვითაც, კოლეჯი სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებებს და დაგეგმილი აქვს შესაბამისი ღონისძიების განხოეციელება, კერძოდ წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 27 დეკემბრის N87 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა N2. სადაც გაწერილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო იმ რესურსის შესყიდვა, რომელიც კოლეჯს საანგარიშო პერიოდში არ ჰქონდა.

აღნიშნულის მიხედვით კოლეჯის შესაბამისობის გეგმა N1 და N2-ის მიხედვით, კოლეჯის მიერ სრულადაა იდენტიფიცირებული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსის ნუსხა, ხოლო შესყიდვის პროცესისათვის განსაზღვრული დრო არ აღემატება 6 თვეს (აქტივობათა შესრულების მაქსიმალური ვადაა - 13.01.2022-26.06.2022)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 არის მეტწილად დაკმაყოფილებული. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა N1 და N2-ის მიხედვით, კოლეჯის მიერ სრულადაა იდენტიფიცირებული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსის ნუსხა, ხოლო შესყიდვის პროცესისათვის განსაზღვრული დრო არ აღემატება 6 თვეს (აქტივობათა შესრულების მაქსიმალური ვადაა - 13.01.2022-26.06.2022)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა N1 და N2-ის მიხედვით, კოლეჯის მიერ სრულადაა იდენტიფიცირებული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსის ნუსხა, ხოლო შესყიდვის პროცესისათვის განსაზღვრული დრო არ აღემატება 6 თვეს (აქტივობათა შესრულების მაქსიმალური ვადაა - 13.01.2022-26.06.2022)

2. ვეტერინარიის პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიულ მოდულებს სრულად, ხოლო კლინიკური მოდულების თეორიული სწავლის შედეგებს განახორციელებს 4 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანულ კანონს - შრომის კოდექსს და არ აღემატება კვირაში 40 საათს. კოლეჯში არსებული მიდგომისა და პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, მასწავლებელთა დატვირთვა განსაზღვრულია მოდულის შესაბამისი სწავლის შედეგის საკონტაქტო საათების ოდენობით და არ ითვალისწინებს მასწავლებელთა ისეთ დატვირთვას, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირება, განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების განხორციელება, სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა და სხვა.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 25 თებერვლის N8 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესის“ მე-12[1] მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელს უფლება აქვს შეთავსებით დაიკავოს პროფესიული მასწავლებლის პოზიცია და დღეში პარალელურად შეუძლია <u>4, 5 ან სხვა რაოდენობის საათები</u>.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია. ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ განსაზღვროს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემა, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალის აკადემიური მიმართულებით დატვირთვის ოდენობა დაადგინოს ცალსახად.*

3. პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო და სხვა მოთხოვნები დარეგულირებეულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის №78 ბრძანებით დამტკიცებული „მთავარი დებულების“ მე-10 მუხლით - „პროფესიული მასწავლებლის დებულება“. შიდა მარეგულირებელი აქტის მიხედვით, მუხლი 10.2.1 კოლეჯში პროგრამის განმხორციელებელი პერსონალის მიღების მიზნით ცხადდება კონკურსი ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად. ამავე დებულების 10.4 პუნქტის მიხედვით, „კონკურსის არსებობის შემთხვევაში პროგრამის განმხორციელებელი პერსონალის შერჩევა ხდება კომისიის მიერ, რომელიც იქმნება საჭიროების შემთხვევაში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე“. რაც არაა თავსებადი 10.2.1 მუხლის მოთხოვნებთან. პერსონალის მიღების მიზნით კონკურსის გამოცხადებისას შესაძლოა რაოდენობრივად არ შეიქმნას კონკურსი კონკრეტული პოზიციისათვის, თუმცა წარმოდგენილი განაცხადის შესწავლა და დასაკავებელი პოზიციისათვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, დოკუმენტაცია უნდა შეისწავლოს საკონკურსო კომისიამ.

ზემოაღნიშნული დებულების 10.3 პუნტის მიხედვით, პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია: ა) უმაღლესი განათლება; ბ) პროფესიული განათლების შემთხვევაში პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის სამუშაო გამოცდილება ან პროფესიის მიხედვით მუშაობის გამოცდილება; გ) გააჩნდეს სათანადო უნარები; დ) მაღალი პროფესიული ცოდნა და უნარები.

ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის შერჩეული პერსონალის კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება უზრუნველყოფს ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პერსონალის უმეტესობას აქვს ვეტერინარის ან ვეტერინარი ექიმის კვალიფიკაცია და შესაბამისი სამუშაო გამოცდილება. თუმცა პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების ორი ვერსია არსებობს კოლეჯში, ერთი ვერსიის მიხედვით, რომელიც გამოგზავნილია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში - ხელშეკრულება გაფორმებულია 2021 წლის 25 თებერვალს, მოქმედების ვადაა <u>ერთი წელი, 2022 წლის აგვისტო</u>, პერსონალის საათობრივი ანაზღაურება განსაზღვრულია კონკრეტული ოდენობით, ხოლო კოლეჯში წარმოდგენილი ხელშეკრულებების მეორე ვერსიის მიხედვით, 2021 წლის 25 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაა <u>ერთი წელი</u>, ხოლო პერსონალის ანაზღაურება წარმოდგენლია ბუნდოვნად, მაგალითად: ერთი საათის ანაზღაურება შეადგენს 5-10 ლარს. კოლეჯის წარმომადგენელმა ეს ფაქტი ტექნიკური ხარვეზით ახსნა. ასევე დასაზუსტებელია მასწავლებელთა მოვალეობები, ხელშეკრულებაში იკითხება სილაბუსების შემუშავების ვალდებულება და სხვა. რაც არაა თავსებადი მოდულური პროგრამების განხორციელებისათვის მიზნებისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის პერსონალთან გასაუბრებისას მათ დაადასტურეს კოლეჯთან გრძელვადინი თანამშრომლობის სურვილი. პერსონალის ნაწილს ჰქონდა მოდულის განხორციელების გამოცდილება (ზოგადი მოდულების შემთხვევაში), ხოლო ნაწილის გადამზადებას კოლეჯი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებამდე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, *თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა დაარეგულიროს პერსონალთან სახელშეკრულებო ურთიერთობები საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად და მოდულური სწავლების მიდგომების გათვალისწინებით დააზუსტოს პერსონალის ვალდებულებები, ცალსახად განისაზღვროს ხელშეკრულების ვადა და შრომის ანაზღაურების ოდენობა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

4. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 12 მარტის N12 ბრძანებით დანიშნულია ვეტრინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და წარმოდგენილია 2021 წლის 25 თებერვალს გაფორმებული N9 ხელშეკრულება. პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენცია უზრუნველყოფს ვეტერინარიის პროგრამის განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობას. ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრებისას პროგრამის ხელმძღვანელმა გამოთქვა სრული მზადყოფნა ჩაერთოს პროგრამის განვითარებაში, განხორციელებასა და ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში, თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ პროგრამის ხელმძღვანელი დასაქმებულია საჯარო სტრუქტურაში და სრული სამუშაო დატვირთვით კოლეჯში ყოფნას ვერ შეძლებს, როგორც ეს განსაღვრულია მასთან გაფორმებული ხელშეკრულების 9.1 პუნქტით, ასევე ბუნდოვანია ამავე ხელშეკრულების 7.1 პუნქტით განსაზღვრული ანაზღაურების ოდენობა, აღნიშნულ კომპონენტში პროგრამის ხელმძღვანელი სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას. პროგრამის ხელმძღვალენთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცალსახად არ ჩანს ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობის ვალდებულება, მაგ.: შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის, შეფასების სისტემის ვერიფიაციის, დამსაქმებელთა კმაყოფილების, მოლოდინებისა და საჭიროებების კვლევის პროცესში ჩართულობა და სხვა. არაა წარმოდგენილი პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერილობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, ვეტერინარიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, *თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა დაარეგულიროს პროგრამის ხელმძღვანელთან სახელშეკრულებო ურთიერთობები, დააზუსტოს პერსონალის ვალდებულებები, ცალსახად განისაზღვროს პერსონალის დატვირთვის ოდენობა და შრომის ანაზღაურების ოდენობა.*

5. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება. „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ წარმოდგენილია ბიბლიოთეკის დებულებიდან ამონარიდის სახით და გამოკრულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა. დაწესებულების ბიბლიოთეკაში შემთხვევითი შერჩევით გადამოწმდა სასწავლო რესურსები. დაწესებულების ბიბლიოთეკაში დაცული სასწავლო რესურსები შეესაბამება მოდულებით განსაზღვრულ ლიტერატურას და ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერით და პრინტერით აღჭურვილ კოლეჯის სამკითხველო დარბაზში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. თუმცა საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული რესურსი საჭიროებს საძიებო სისტემის გაუმჯობესებას, რაც უზრუნველყოფს ბეჭდური რესურსის მოკლე დროში მიკვლევადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის სასწავლო პროცესში გამოყენების პრაქტიკის გადამოწმების მიზნებისათვის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა საბიბლიოთეკო რესურსების მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალი, მკითხველთა ბარათები, კოლეჯი ახორციელებს საბიბლიოთეკო საქმიანობას დადგენილი წესის მიხედვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, *თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა დაარეგულიროს ბეჭდური რესურსის განლაგება/საძიებო სისტემის სრულყოფა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნებს მათი მოკლე დროში მიკვლევადობა.*

6. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 21 ნოემბრის N72 ბრძანებით დამტკიცებულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები სსსმ და შშმ პირებისათვის“. მოცემული დოკუმენტით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პერიოდი და საჭიროება. შიდა მარეგულირებელი აქტის მიხედვით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განისაზღვრება: ა) სწავლის შედეგები, სწავლების სტრატეგიები, სასწავლო აქტივობები მოდულების ფარგლებში; ბ) დრო, რომელსაც პროფესიული განათლების მასწავლებელი დაუთმობს პროფესიულ სტუდენტებს; გ) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალა და მასზე პასუხისმგებელი პირი; დ) სტუდენტებისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსი.

კოლეჯის ბიბლიოთეჯის პერსონალთან ინტერვიურებისას მან განაცხადა, რომ სსსმ საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლიათ, თუმცა ის მზადაა უზრუნველყოს ასეთი სტუდენტისათვის ყველა სახის საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა მისთვის სასურველი ფორმით, მათ შორის: გაზრდილი შრიფტით ამობეჭდვა, ელექტრონული სახით და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, კოლეჯი მზადაა უზრუნველყოს სსსმ პირთა წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. კოლეჯის მიერ 2021 წლის 7 ოქტომბრის N47 ბრძანებით დამტკიცებულ ვეტერინარიის პროფესიული საგანმანთებლო პროგრამისათვის დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. დოკუმენტში პროგრამის სასწავლო ჯგუფის რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 12 პროფესიული სტუდენტი, ხოლო შემოსავლები სავარაუდოდ დათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე, თუმცა ამ რაოდენობასაც აღემატება შემოსავლების მითითებული ოდენობა, კერძოდ კოლეჯის გათვლებით შემოსავლების ოდენობა შეადგენს 50150 ლარს, მათ შორის:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- სტუდენტის სწავლის გადასახადი შეადგენს 610 ლარს, სტუდენტთა რაოდენობა მითითებულია 15, შემოსავლების საერთო რაოდენობის ველში მოცემულია 9150 ლარი (15X610=9150);

- სტუდენტის ვაუჩერის თანხა შეადგენს 2600 ლარს, სტუდენტთა რაოდენობა მითითებულია 15, შემოსავლების საერთო რაოდენობის ველში მოცემულია 41 000 ლარი, მაშინ როდესაც 15X2600=39000.

რეალურად, პროფესიულ სტუდენტთა რენტაბელობის ზღვარის გათვალისწინებით, კოლეჯის საპროგნოზო შემოსავლები შეადგენს - 38520 ლარს (12X610+12X2600=38520), ნაცვლად მითითებული 41000 ლარისა.

ბიუჯეტის ხარჯის კომპონენტი არ ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტზე კლინიკური და პრაქტიკული მოდულების განხორციელების ხარჯს, რის ვალდებულებაც დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 3 ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულების 3.1 პუნქტით, ხოლო მეოთხე ობიექტის შემთხვევაში ასეთი ხარჯი გაიანგარიშება შეთანხმებით, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად. რაც ასევე ბუნდოვანია, ვინაიდან მოცემულ პრაქტიკის ობიექტზე დაგეგმილი სწავლის შედეგის მიღწევისათვის განსაზღვრულია დატვირთვის ოდენობა, მატერიალური რესურსი და სტუდენტთა რაოდენობა, შესაბამისად, შესაძლებელია წინასწარ იქნეს განსაზღვრული მომსახურების ღირებულება. ცალსახად არაა განსაზღვრული პრაქტიკის ობიექტზე პროფესიულ სტუდენთა სწავლებისათვის საჭირო მასალა-ნედლეულისა და პირადი დაცვის საშუალებების უზრუნველყოფის საკითხები. პრაქტიკის ობიექტებისა და კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიერეურებისას განაცხადეს რომ ურთიერთმოლაპარაკებით დარეგულირდება მოცემული საკითხი, შესაბამისად, თუ მოცემული რესურსის შესყიდვა უნდა უზრუნველყოს კოლეჯმა, ცალსახაა, რომ ის ასახული უნდა იქნეს პროგრამის ბიუჯეტში.

მიმდინარე წლის 14 იანვარს დაწესებულებამ N145 კორესპოპდენციით წარმოადგინა ექსპერთა ჯგუფის დასკვნაზე არგუმენტირებული პოზიცია, რის მიხედვითაც, კოლეჯი სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებებს და დაგეგმილი აქვს შესაბამისი ღონისძიების განხორციელება, კერძოდ წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 27 დეკემბრის N87 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა N2. სადაც გაწერილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო იმ რესურსის ოდემობა, მათ შორის პროგრამის ბიუჯეტი, რის მიხედვითაც კოლეჯი გეგმავს ნაცვლად 30 სტუდენტისა, მიიღოს 20 სტუდენტი - ორ ჯგუფად, ჯგუფში 10 სტუდენტის ოდენობით. კოლეჯის მიერ წარმოდგინილი ბიუჯეტის შემოსავლების კომპონენტი დათვლილია 10 პროფესიულ სტუდენტზე, ხოლო რენტაბელობის ზღვარის ოდენობად განსაზღვრულია - 8. მოიხედავად ამ არასორი გათვლაებისა, ექსპერტთა გაანგარიშებით კოლეჯის შემოსავლები 8 პროფესიული სტუდენტისსწავლის საფასურის მიხედვით, სრულად ფარავს და მცირები აღემატება პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრულ ხარჯს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. *ბიუჯეტში მითითებული რენტაბელური ზღვარის გათვალისწინებით მიღებული შემოსავლები ფარავს ამავე ბიუჯეტით განსაზღვრულ პროგრამის განხორციელების ხარჯს, თუმცა, რეკომენდებულია კოლეჯმა სწორად გაიანგარიშოს ბიუჯეტის შესაბამის კომპონენტით განსაზღვრული მონაცემები, მათ შორის: შემოსავლები დაიანგარიშოს რენტაბელური ზღვარის მიხედვით. ვრცლად იხილეთ ინდიკატორის აღწერა.*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 24 ივლისის №27 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშაბისა და შეფასების მეთოდოლოგია“;
2. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 ივლისის №29 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესები“;
3. შპს „მატადორთან“ 2021 წლის 19 თებერვალს გაფორმებული №14 ხელშეკრულება (პრაქტიკის ობიექტი);
4. შპს „ვეტებთან“ 2021 წლის 20 თებერვალს გაფორმებული №13 ხელშეკრულება (პრაქტიკის ობიექტი);
5. მეცხოველეობის სანაშენე კოოპირატივი „მომშენებელთან“ 2021 წლის 25 თებერვალან გაფორმებული №15 ხელშეკრულება (პრაქტიკის ობიექტი);
6. ი/მ „ზვიად სიბოშვილთან“ 2021 წლის 20 თებერვალს გაფორმებული №16 ხელშეკრულება (პრაქტიკის ობიექტი);
7. ვეტერინარიის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
8. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 7 ოქტომბრის №47 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ვეტერიანარია“ და მისი დანართები;
9. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის №78 ბრძანებით დამტკიცებული „მთავარი დებულება“;
10. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 21 ნოემბრის N72 ბრძანებით დამტკიცებული „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები სსსმ და შშმ პირებისათვის“;
11. ვეტერინარიის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
12. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა N1 და N2;
13. ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის 2020 წლის 24 ივლისის №28 ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი“. დოკუმენტი არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სასწავლო პროცესზე დაკვირვება/მონიტორინგი, სწავლების ხარისხის შეფასება, შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის წესი, შეფასების შედეგების უკუკავშირი, ხარისხის მონიტორინგის ფორმები (№1-№6 - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების კითხვარი; პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების კითხვარი; კალენდარული გეგმის შემოწმების კითხვარი; პოტენციური დამსაქმებლის შეფასების კითხვარი; კურსდამთავრებულის შეფასების კითხვარი).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებასთან დაკავშირებული მიდგომები ასევე აღწერილია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 24 ივლისის №27 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშაბისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მე-3 მუხლში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 ივლისის №29 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესების“ მე-2 მუხლში აღწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების განხორციელების შემთხვევები და ცვლილებების ინიცირებაზე უფლებამოსილი პირები. ამავე წესის მე-3 მუხლი არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საკითხებს.

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის №78 ბრძანებით დამტკიცებული „მთავარი დებულების“ 26-ე მუხლი არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და გაუმჯობესების წესს. ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია კო - ლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიდგომები. პროგრამის შეფასების პროცესში ჩართულია პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. შიდა მარეგულირებელი აქტის მიხედვით სხვა კომპონენტებთან ერთად ხარისხის მართვის სამსახური აფასებს პროგრამის შინაარსის ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა: „რამდენად იძლევა პროგრამაში მოცემული მეთოდები დასახული ამოცანების გადაჭრის საშუალებას“, რამდენად რეალურია პროგრამის ხანგრძლივობა, შეესაბამება თუ არა ლექციები, პრაქტიკული მუშაობა პროგრამით გათვალისწინებული მასალის მოცულობას“ და სხვა. ექსპერტთა შეფასებით პროგრამის შინაარსობრივი კომპონენტის შეფასებაში რეკომენდებულია ჩაერთოს პროგრამის ხელმძღვნელი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პროგრამის განვითარების ხელშეწყობა დარგის თანამედროვე ტენდენციების, პროგრამის შინაარსობრივი სრულყოფის, პროგრამის განხორციელებისას მიღებული რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე, დარგის სპეციალისტი უკეთ განსაზღვრავს ამათუმ კომპონენტის სირთულეს, მისი განხორციელების რიგითობას და სხვა საკითხებს.

კოლეჯში არსებული პრაქტიკის შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს და კოლეჯის პერსონალს. ინტერვიურებისას მათ განაცხადეს, რომ აქიურად არიან ჩართული საქართველოს კერძო კოლეჯის ასოციაციის მიერ ფორმირებულ დარგობრივ ჯგუფებთან ფარმაციისა და სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში და კოლეჯში არსებულ გამოწვევებზე რეაგირებენ ტრენინგებითა და გაზიარებული შეფასების ინსტრუმენტებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, *თუმცა რეკომენდებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმი თანმიმდევრულად იყოს გაწერილი ერთ შიდა მარეგულირებელ აქტში, ითვალისწინებდეს შეფასებას დაქვემდებარებულ პროცესებს, პროცედურებს, პასუხისმგებელ და ჩართულ პირებს, შეფასების შედეგების მიღების გზებს, ანალიზსა და გაუმჯობერების რეკომენდაციების შემუშავების საკითხებს. ამასთან, პროფესიული საგანმანათლებლო*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესში სავალდებულოდ უნდა იყოს ჩართული პროგრამის ხელმძღვანელი, ვინაიდან ხარისხის უზრუველყოფის სამსახურის პერსონალი ვერ იქნება ყველა პროგრამის შინაარსის კვალიფიციური შემფასებელი.

2. პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზისა და რეკომენდაციების შემუშავების დებულებები გაწერილია კოლეჯის შემდეგ შიდა მარეგულირებელ აქტებში:

- კოლეჯის 2020 წლის 24 ივლისის №28 ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი“, მუხლი 1.7;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 24 ივლისის №27 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და შეფასების მეთოდოლოგია“, 3.4 მუხლი;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის №78 ბრძანებით დამტკიცებული „მთავარი დებულების“ 26.2.11 მუხლი;

ზემოაღნიშნული შიდა მარეგულირებელი აქტების მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, პროფესიული პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს ადმინისტრაციის საბჭოს.

- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 ივლისის №29 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესების“ მე-2 მუხლი აღწერს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესებს, პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, ხარისხის სპეციალისტს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებელს, პრაქტიკის ინსტრუქტორს კოლეჯის დირექტორისადმი წარდგენილი წერილობითი არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს პროგრამის შემოწმების თანამიმდევრობის, შესამოწმებელი ობიექტის და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრასა და შემუშავებას. პროგრამების განმახორციელების შეფასების შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის და პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ასევე განსაზღვრულია პროგრამების ცვლილებების გავრცელების არეალი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირების ზოგადი საკითხები.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების თაობაზე გამოიცემა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტი - ბრძანება, ხოლო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირების საკითხებს წარმართვას კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახური.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, *თუმცა რეკომენდებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და პროგრამის გაუმჯობესების მექანიზმები თანმიმდევრულად იყოს გაწერილი ერთ შიდა მარეგულირებელ აქტში, რაც გამორიცხავს რეგულირების საკითხების დუბლირებას, ხოლო შიდა მარეგულირებელ აქტებში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, უზრუნველყოფს პროცესის ერთგვაროვან წარმართვას.*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის 2020 წლის 24 ივლისის №28 ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი“;
2. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 24 ივლისის №27 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და შეფასების მეთოდოლოგია“;
3. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის №78 ბრძანებით დამტკიცებული „მთავარი დებულება“;
4. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 ივლისის №29 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესები“.
5. ინტერვირების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 7 ოქტომბრის N47 ბრძანებით დამტკიცებული ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში დარღვეულია მოდულზე დაშვების წინაპირობები, კერძოდ: მოდულის - ვეტერინარული ფარმაცია და ფარმაკოლოგია წინაპირობაა მოდულის - დოზირების პრინციპები ვეტერინარიაში გავლა, სასწავლო გეგმაში მოდულებზე დაშვების წინაპრობები მითითებულია, თუმცა დაგეგმვისას გათვალისწინებული არაა. ხსენებული მოდულის - დოზირების პრინციპები ვეტერინარიაში დაგეგმილია XII-XXI კვირაში, მაშინ როდესაც მოდულის - ვეტერინარული ფარმაცია და ფარმაკოლოგია დაგეგმილია I-IX კვირაში. სასწავლო გეგმაში საათების განაწილება არასრული და არასწორია. კერძოდ, გეგმაში გამიჯნულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, თუმცა ზოგიერთ მოდულში დამოუკიდებელი საათები მითითებული არ არის (იხ. მოდული - დოზირების პრინციპები ვეტერინარიაში) ან მითითებულია არასრულად (იხ. მოდულები - ვეტერინარული ფარმაციაა და ფარმაკოლოგია, ვეტერინარი ქირურგის ასისტირება, ცხოველთა დაკვლისშემდგომი კონტროლისგანხორციელებაში მონაწილეობა, ცხოველთა კვება, ინტერპერსონალური კომუნიკაცია, ქიმია, ბიოქიმიის საფუძვლები და სხვა), ამასთან, მოდულების საკონტაქტო საათების განაწილებისას სრულადაა მითითებული მოდულის საათობრივი დატვირთვა, მაგალითად: მოდული ცხოველთა კვება არის არის 3 კრედიტიანი და ისწავლება 75 საათის განმავლობაში, საიდანაც 60 საათი არის საკონტაქტო (მათ შორის: 58 საათი არის ლექცია/პრაქტიკული, 2 საათი შეფასება), ხოლო 15 საათი არის დამოუკიდებელი. კოლეჯის მიერ სასწავლო გეგმაში საკონტაქტო საათების გრაფაში 8 კვირის განმავლობაში გაწერილია 75 საათი, ნაცვლად 60 საათისა, ხოლო დამოუკიდებელი საათების გრაფაში მოცემულია 11 საათი, ნაცვლად 15 საათისა. ეს პრაქტიკა გამოყენებულია ყველა მოდულის დაგეგმვისას. წინაპირობის მქონე მოდულების დაგეგმვისას ცალკეულ შემთხვევებში პროფესულ სტუდენტებს არ აქვთ განმეორებითი/დამატებითი განმსაზღვრელი შეფასებით სარგებლობის უფლება, ვინაიდან იმავე კვირაში დაგეგმილია იმ მოდულის სწავლება, რომლის წინაპირობაცაა წინა მოდული, ხოლო კვირეული დატვირთვა შეადგენს 40 საათს, საიდანაც 17 საათი ეთმობა იმ მოდულს, რომელიც უნდა დასრულდეს და წარმოადგენს მომდევნო მოდულის წინაპირობას, ხოლო ახალი მოდულის მოცემული კვირის დატვირთვა შეადგენს 10 საათს, სხვა მოდულის დატვირთვა კი 12 საათია (იხ. მოდული - ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი, მოდული - ცხოველთა დაკვლისშემდგომი კონტროლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

განხორციელებაში მონაწილეობა, სხვა მოდულები), მაშინ როდესაც კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის N78 ბრძანებით დამტკიცებული მთავარი დებულების 24-ე მუხლის მე-14 პუნქტის მე-2 პუნქტის მიხედვით „განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს განმეორებითი შეფასება მოითხოვოს მოდულის დასრულებიდან 10 დღის განმავლობაში“, მოცემულ შემთხვევაში ეს უფლება რეალიზებული ვერ იქნება.

კოლეჯში ექსპერტთა ჯგუფის ყოფნისას დაწესებულებამ წარმოადგინა „შესაბამისობის გეგმა ვეტერინარიის პროგრამის დამატების მიზნით“, დოკუმენტი დამტკიცებულია 2021 წლის 25 ოქტომბერს. დოკუმენტში მეორე აქტივობად განსაზღვრულია „არასრულყოფილი სასწავლო გეგმის კორექტირება“, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 10 იანვარი, ხოლო აქტივობის შესრულების მტკიცებულად განსაზღვრულია „სრულყოფილი სასწავლო გეგმა“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კრიტერიუმი 2.4.1.1 მოთხოვნები მეტწილადაა დაკმაყოფილებული, კოლეჯის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ირკვევა, რომ კოლეჯი გეგმავს ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის კორექტირებას. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ირკვევა, რომ კოლეჯი გეგმავს პროფესიულის სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული პოცედურების მარეგულირებელი აქტების შემუშავებას, რისთვისაც წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, ხოლო აქტივობათა შესრულების დრო არ აღემატება 6 თვეს.

2. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 9 ნოემბრის N52 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის წესი, სადაც გაწერილია სასწავლო პროცესის დისტანციურად სწავლების პროცედურები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა სტუდენტთა უფლება-მოვალეობები. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, თუმცა კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურებისას, მათ განაცხადეს, რომ ჯერ აღნიშნულის საჭიროება არ დამდგარა. კოლეჯს ასევე არ განუხორციელებია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში ცვლილება. ამასთან, მოცემული პროცესი არ დარეგულირებეული არაა კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტით.

კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურებისას, მათ განაცხადეს, რომ თითოეული პროფესიული სტუდენტის საჭიროებას იცნობენ და ადეკვატურად უჭერენ მხარს, ეხმარებიან მათი საჭიროების მიხედვით, მათ შორის დისტანციური სწავლების პირობებში. მაგალითების სახით დასახელებულ იქნა პანდემიური პირობებიდან გამომდინარე ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების საკითხები, რომლის დროსაც კონსტრუქციულად ითანამშრომლეს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

კოლეჯში ექსპერტთა ჯგუფის ყოფნისას დაწესებულებამ წარმოადგინა „შესაბამისობის გეგმა ვეტერინარიის პროგრამის დამატების მიზნით“, დოკუმენტი დამტკიცებულია 2021 წლის 25 ოქტომბერს. დოკუმენტში მეექვსე აქტივობად განსაზღვრულია „სასწავლო გეგმის ცვლილებების რეგულაციის გეგმა“, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2021 წლის 24 დეკემბერი, ხოლო აქტივობის შესრულების მტკიცებულად განსაზღვრულია „სასწავლო გეგმის რეგულაციის გეგმა“, რაც ექსპერტთა აზრით ბუნდოვანი და გაუგებარია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, *თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა დაარეგულიროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში ცვლილებების განხორციელების პროცედურები.*

3. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „ვეტერინარია“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს. პროგრამაზე „ვეტერინარია“ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

4. კოლეჯში სასწავლო პროცესის ორგანიზების საკითხები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის №78 ბრძანებით დამტკიცებული „მთავარ დებულებაში“. ამავე დებულების 23-ე მუხლი არეგულირებს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებსა და წესს, რომელიც არაა შესაბამისობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 სექტემბრის №188/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესთან“, ამასთან კოლეჯს არ აქვს უფლება მოპოვებული განახორციელოს არაფორმალური განათლების აღიარება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის №459 დადგენილებით განსაზღვრული „არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების წესისა და პირობებით“.

ზემოაღნიშნული დებულების 24-ე მუხლი არეგულირებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებს, რომლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულია „მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიღებული განათლების აღიარება“, დოკუმენტის მიხედვით, მობილობისათვის შექმნილი დროებითი კომისია ადგენს მის საგანმანათლებლო პროგრამებთან, მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას, რომელიც არ შეიძლება იყოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული მოცულობის 50%–ზე ნაკლები და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ“. აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანია და საჭიროებს დაზუსტებას.

ამავე დებულების 25-ე მუხლი - პროფესიულ სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკის დებულება არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული პროექტის/საწარმოო პრაქტიკის ან პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცედურულ საკითხებს.

კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 21 ნოემბრის N72 ბრძანებით დამტკიცებულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები სსსმ და შშმ პირებისათვის“. მოცემული დოკუმენტით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პერიოდი და საჭიროება. შიდა მარეგულირებელი აქტის მიხედვით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განისაზღვრება: ა) სწავლის შედეგები, სწავლების სტრატეგიები, სასწავლო აქტივობები მოდულების ფარგლებში; ბ) დრო, რომელსაც პროფესიული განათლების მასწავლებელი დაუთმობს პროფესიულ სტუდენტებს; გ) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალა და მასზე პასუხისმგებელი პირი; დ) სტუდენტებისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსი. მექანიზმი ითვალისწინებს სსსმ და შშმ პირების თავისუფალი გადაადგილებისათვის აუცილებელ ღონისძიებებს, მათ შორის ადაპტირებულ გარემოს.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 5 ნოემბრის N76 ბრძანებით დამტკიცებულია „ფორმალური განათლების აღიარების წესი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის წესი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება“. ფორმალური განათლების აღირების წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესთან“. დოკუმენტში განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცედურები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასტან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის განსაზზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შემთხვევები, თუმცა დოკუმენტში არაა განსაზღრული პროცედურული საკითხები, მათ შორის პროფესიული სტუდენტის მონაწილეობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის ინფორმირება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისში მისი ჩართულობა, განსაზღვროს ინდივიდუალი სასწავლო გეგმის შემუშავებაზე პასუხიმგებელი და მონაწილე პირები და დოკუმენტის შემუშავების პროცედურული საკითხები. ასევე რეკომენდებულია დაწესებულებამ არაფორმალური განათლების აღიარების პროცესის*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

რეგულირება განახორციელოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და აღნიშნული პროცესის მარეგულირებელი შიდა აქტები მოიყვანოს შესაბამისობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

5. ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კოლეჯი თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ საწარმოებთან:

- საგარეჯოში მდებარე **შპს "ვეტები".** აღნიშნული ხელშეკრულების (N13, 20.02.2021) ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს 20 პროფესიულ სტუდენტს. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება მოდულებისთვის: ვეტერინარი ქირურგის ასისტირება; შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი,კატა) დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა; ვეტერინარული ფარმაცია და ფარმაკოლოგია; ცხოველთა მკურნალობა. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2026 წლის 1 იანვრამდე;
- საგარეჯოში მდებარე **ინდ.მეწარმე „ზვიად სიბოშვილი"**. აღნიშნული ხელშეკრულების (N16, 20.02.2021) ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს 20 პროფესიულ სტუდენტს. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება შემდეგი მოდულებისთვის - ცხოველთა მოვლა და კეთილდღეობაზე ზრუნვა; ცხოველთა კვება. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2026 წლის 1 იანვრამდე;
- საგარეჯოში მდებარე **შპს მეცხოველეობის სანაშენე კოოპერატივ „მომშენებელთან"**. აღნიშნული ხელშეკრულების (N15, 25.02.2021) ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს 20 პროფესიულ სტუდენტს. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება მოდულისთვის - ვეტერინარული მეანობა და გინეკოლოგია. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2026 წლის 1 იანვრამდე;
- საგარეჯოში კახეთის გზატკეცილი 7-ში მდებარე **შპს „მატადორთან"**, აღნიშნული ხელშეკრულების (N14, 19.02.2021) ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს 20 პროფესიულ სტუდენტს. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება მოდულებისთვის - ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი; ცხოველთა დაკვლის შემდგომი კონტროლი. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2026 წლის 1 იანვრამდე.

პრაქტიკის ორ ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს ახლავს პრაქტიკის ობიექტზე დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ნუსხა და ამ ობიექტზე დაგეგმილია მოდულების/სწავლის შედეგების შესახებ ინფორმაცია.

ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა პრაქტიკის 3 ობიექტზე, გაესაუბრა ორანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებიც ჩართულნი იქნებიან პროფესიულ სტუდენტთა სწავლების პროცესში და დათვალიერდა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების გარემო. პრაქტიკის სამივე ობიექტი მზადაა მიიღოს პროფესიული სტუდენტები, ჩართონ ისინი ორგანიზაციის საწარმოო პროცესში და ხელი შეუწყონ მათ დასაქმებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, კოლეჯის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით.

6. კოლეჯში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ ფარგლებში სპეციფიკური უსაფრთხოების წესები გამოკრულია C გარემოში და პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარდებათ შესაბამისი ინსტრუქტაჟი. პრაქტიკის ობიექტზე, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, წარმოებიდან მიმაგრებული პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 24 ივლისის N28 ბრძანებით დამტკიცებული „მთავარი დებულება“;
2. კოლეჯში დირექტორის 2021 წლის 25 ოქტომბერის N54 ბრძანებიტ დამტკიცებული „შესაბამისობის გეგმა ვეტერინარიის პროგრამის დამატების მიზნით“;
3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 9 ნოემბრის N52 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის წესი“;
4. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 5 ნოემბრის N76 ბრძანებით დამტკიცებული „ფორმალური განათლების აღიარების წესი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის წესი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება“;
5. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 სექტემბრის N43 ბრძანებით დამტკიცებული „შიდა ვერიფიკაციის წესი“;
6. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 24 ივლისის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის შედეგების შეფასების სისტემა“;
7. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 7 ოქტომბრის N47 ბრძანებით დამტკიცებული ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
8. შპს „მატადორთან“ 2021 წლის 19 თებერვალს გაფორმებული №14 ხელშეკრულება (პრაქტიკის ობიექტი);
9. შპს „ვეტებთან“ 2021 წლის 20 თებერვალს გაფორმებული №13 ხელშეკრულება (პრაქტიკის ობიექტი);
10. მეცხოველეობის სანაშენე კოოპირატივი „მომშენებელთან“ 2021 წლის 25 თებერვალან გაფორმებული №15 ხელშეკრულება (პრაქტიკის ობიექტი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

11. ი/მ „ზვიად სიბოშვილთან“ 2021 წლის 20 თებერვალს გაფორმებული №16 ხელშეკრულება (პრაქტიკის ობიექტი);
12. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა N1 და N2;
13. ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 24 ივლისის N28 ბრძანებით დამტკიცებული „მთავარი დებულების“ 24-ე მუხლის - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-14 პუნქტი არეგულირებს „პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა მოდულური პროგრამის ფარგლებში“. დოკუმენტში განსაზღვრულია მოდულურ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების სახეები, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტის უფლება განმეორებითი შეფასება მოითხოვოს მოდულის დასრულებიდან 10 დღის განმავლობაში, ინფორმაცია შეფასების მიმართულების თაობაზე, რომელიც განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში.

კოლეჯს დარეგულირებული არ აქვს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესი და პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული ვადები და საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი.

კოლეჯში ექსპერტთა ჯგუფის ყოფნისას დაწესებულებამ წარმოადგინა „შესაბამისობის გეგმა ვეტერინარიის პროგრამის დამატების მიზნით“, დოკუმენტი დამტკიცებულია 2021 წლის 25 ოქტომბერს. დოკუმენტში მეშვიდე აქტივობად განსაზღვრულია „შესრულების ინსტრუმენტების ვალიდაციის წესის შემუშავება“, ხოლო მერვე აქტივობად მოცემულია „შეფასების ინსტრუმენტების რეგულაციის წესის შემუშავება“, აქტივობების შესრულების ვადად განსაზღვრულია 2021 წლის 23 დეკემბერი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 მოთხოვნები მეტწილადაა დაკმაყოფილებული, კოლეჯის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ირკვევა, რომ კოლეჯი გეგმავს პროფესიულის სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული პოცედურების მარეგულირებელი აქტების შემუშავებას., რისთვისაც წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, ხოლო აქტივობათა შესრულების დრო არ აღემატება 6 თვეს.

2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 სექტემბრის N43 ბრძანებით დამტკიცებულია „შიდა ვერიფიკაციის წესი“. დოკუმენტში გაწერილია შეასების ვერიფიკაციის მექანიზმები, შიდა ვერიფიკაციის მიზანი, ვერიფიკატორებისადმი წაყენებული მოთხოვნები, შიდა ვერიფიკაციის პროცესი. დოკუმენტს თან ახლვას ვერიფიკაციის ჯგუფის სამუშაო ფორმები, მათ შორის: შეფასების ინსტრუმენტების შემოწმების ფურცელი, ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის ნიმუში, რისკ ფაქტორების გამოვლენის რეესტრის ფორმა, შეფასების ინსტრუმენტების სამივე მიმართულებისათვის ადეკვატურობის დადგენის ცხრილის ფორმა. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაცია კოლეჯს ჯერ არ განუხორციელებია, პროცესი დაგეგმილია 2022 წლის გაზაფხულიდან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 24 ივლისის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის შედეგების შეფასების სისტემის“ მარეგულირებელი წესის მეოთხე მუხლით განსაზღვრულია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის წესები. დოკუმენტის მიხედვით, შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, ხოლო შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო მასალები, აუდიო ჩანაწერები და სხვა) აღრიცხება და ინახება უწყისის გაფორმებიდან 3 (სამი) წლის ვადით. მტკიცებულებები ინახება მატერიალური ან/და ელექტრონული სახით. 3 წლის გასვლის შემდეგ მტკიცებულებების განკარგვა ხდება დადგენილი წესით. თუმცა, კოლეჯის მიერ არ არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

დარეგულირებული პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვის წესი, რაც კოლეჯს დაეხმარება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებების მოკლე დროში მიკვლევადობის უზრუნველყოფაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, *თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვის წესი, რაც კოლეჯს დაეხმარება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებების მოკლე დროში მიკვლევადობის უზრუნველყოფაში.*

4. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 24 ივლისის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის შედეგების შეფასების სისტემის“ მარეგულირებელი წესის მეხუთე მუხლი არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განვითარებისათვის შეფასების შედეგების გამოყენების საკითხს. დოკუმენტის მიხედვით, კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს, პროფესიული სტუდენტები იღებენ უკუკავშირს შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვით. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების მიხედვით, შესაძლოა შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტები, საგანმანათლებლო რესურსი და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 24 ივლისის N28 ბრძანებით დამტკიცებული „მთავარი დებულება“;
2. კოლეჯში დირექტორის 2021 წლის 25 ოქტომბერის N54 ბრძანებიტ დამტკიცებული „შესაბამისობის გეგმა ვეტერინარიის პროგრამის დამატების მიზნით“;
3. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 სექტემბრის N43 ბრძანებით დამტკიცებული „შიდა ვერიფიკაციის წესი“;
4. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 24 ივლისის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის შედეგების შეფასების სისტემა“;
5. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 7 ოქტომბრის N47 ბრძანებით დამტკიცებული ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
6. ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	20 პროფესიული სტუდენტი, მოდულური, საგარეჯო, ლეონიძის ქ. 33ა
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	არა

დასაბუთება

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფერიული და კლინიკური მოდულების განხორციელებისათვის პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, კოლეჯს შეუძლია მიიღოს 20 პროფესიული სტუდენტი კოლეჯის მიერ წინამდებარე დასკვნის მიხედვით 2.2.1.1 ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის განსაზღვრული პირობების შესრულების შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

თუმცა, მიმდინარე წლის 14 იანვარს დაწესებულებამ N145 კორესპოპდენციით წარმოადგინა ექსპერთა ჯგუფის დასკვნაზე არგუმენტირებული პოზიცია, რის მიხედვითაც, კოლეჯი სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებებს და დაგეგმილი აქვს შესაბამისი ღონისძიების განხოეციელება, კერძოდ წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 27 დეკემბრის N87 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა N2. სადაც გაწერილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო იმ რესურსის შესყიდვა, რომელიც კოლეჯს საანგარიშო პერიოდში არ ჰქონდა, ხოლო რესურსები გათვლილი აქვს 20 პროფესიულ სტუდენტზე, 2 ჯგუფად, ჯგუფში 10 პროფესიული სტუდენტის ოდენობით, რასაც ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება.

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

დანართი 2. შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის შესაბამისობის გეგმა ვეტერინარიის პროგრამის დამატების მიზნით.

21.01.2022

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------